**„დინამო“ (თბილისი) – „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:0 (1:0)**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს სტადიონი. 31 აგვისტო.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, ჯოხაძე (კაკილაშვილი, 71), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა ჩელებაძე (გურული, 78), რევიშვილი.**

**„ნეფთჩი“: ჟიდკოვი, ალაჰვერდიევი, ბელიალოვი, მირზოევი, პანჩიკი, ფედოროვსკი, აბდულაევი, სულეიმანოვი (ჰუსეინოვი, 58), პონომარიოვი, აჰმედოვი, ჯავადოვი.**

**მსაჯი კირილ დორონინი (მოსკოვი)**

**გოლები: სულაქველიძე (35), ცაავა (55).**

49-ე საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში სადღეისოდ ისეთი მდგომარეობაა, ყოველმა წარმატებამ ესა თუ ის გუნდი ერთბაშად ოთხი-ხუთი საფეხურით შეიძლება დააწინაუროს, ხოლო ყოველმა წაფორხილებამ - ამდენივე საფეხურით უკან დასწიოს. საანგარიშო მატჩის მონაწილენი სწორედ იმ ზონაში არიან, სადაც ეს კანონი მოქმედებს და ამდენად, მათ შეხვედრას ორივე მხარისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ახლა ანგარიში უნდა გაუწიოს ცხრილის შუაგულში მყოფმა გუნდმა: ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ უეფა-ს თასის 1987-1988 წლების გათამაშებაში საბჭოთა კავშირიდან ოთხი გუნდი გამოვიდა. ესე იგი, ევროპულ ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა სხვებთან ერთად მიეცემა ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე მყოფ გუნდსაც. ხუთეულში მოხვედრა კი, თუ, რა თქმა უნდა, კარგად ჩაატარებენ პირველობის დასკვნით ეტაპს, თბილისელებისა და ბაქოელებისთვისაც სავსებით რეალური ჩანს. სხვა საქმეა, რომ ჯერჯერობით არც „დინამოსა“ და არც „ნეფთჩის“ თამაშის ხარისხი არ უპასუხებს იმ კრიტერიუმს, რომლითაც ევროპის საკლუბო ტურნირის მონაწილე ფასდება.

მასპინძლებმა მეტად აქტიურად დაიწყეს თამაში და პირველი 10-15 წუთის მანძილზე ბაქოელები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. იერიში იერიშს მოსდევდა. შეტევის ჩაშლის შემთხვევაში დინამოელთა მცველები ისევ მეტოქის ნახევარზე ცდილობდნენ ბურთის დაბრუნებას და უმეტესად ახერხებდნენ კიდეც ამას. მაგრამ მთავარი, რამაც „ნეფთჩის“ დაცვაში დაბნეულობა შეიტანა, ჩემი აზრით ჩივაძის ახალი ამპლუა გახლდათ. დიახ, თბილისელთა კაპიტანი გუშინწინდელ მატჩში

თავდამსხმელად მოგვევლინა და, უნდა ითქვას, ცალკეულ ეპიზოდებში შესაშური ალღო და გონებამახვილობაც გამოიჩინა.

ალბათ, გახსოვთ, ჩივაძემ წინა ტურის მატჩის ერთ ტაიმშიც თავდამსხმელად ითამაშა, მაგრამ მაშინ ეს ექსტრემალური სიტუაციით იყო ნაკარნახევი - თბილისელები ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ „არარატთან“ შეხვედრას. რას წარმოიდგენდნენ, „ნეფთჩის“ ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები, თუ ჩივაძე თამაშის პირველივე წუთებიდან შეუტევდა მათ კარს!

მიუხედავად ასეთი დაწოლისა, მასპინძლებმა მეტოქეს მაინც ვერ შეუქმნეს სერიოზული ხიფათი. საკმარისია ითქვას, რომ „ნეფთჩის“ მეკარე ჟიდკოვი პირველად მხოლოდ 23-ე წუთზე ჩაერთო თამაშში: ჩივაძემ დაახლოებით 23 მეტრიდან დაარტყა საჯარიმოში - ჟიდკოვმა ბურთი დაიჭირა. საერთოდ, სტუმართ კართან შექმნილი სახიფათო მომენტების უმრავლესობა და ორივე გოლი სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშების შედეგი იყო.

26-ე წუთზე მასპინძლები ახლოს იყვნენ მიზანთან: ცაავამ მარჯვენა ფლანგიდან ჩამოაწოდა კუთხური, ჩელებაძემ ბურთი სულაქველიძეს გადააწოდა, მან კი მოუმზადებლად დაარტყა - მეკარემ ნახტომით უვნებელყო ეს იერიში. 9 წუთის შემდეგ სულაქველიძეს კვლავ მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა და ამჯერად ჩვენმა ნახევარმცველმა ჩინებულად გამოიყენა შანსი. აი, როგორ მოხდა ეს: სტუმართა კარში კიდევ ერთი ჯარიმა დაინიშნა. ეს ჯარიმა ცაავამ და ჩელებაძემ გაითამაშეს, მერე კი ჩივაძემ ძლიერად დაარტყა მიზანში. ბურთი ერთ-ერთ ბაქოელ მცველს მოხვდა და სულაქველიძეს მიუვიდა, რომელმაც არ დააყოვნა და ანგარიში გახსნა - 1:0.

შესვენების შემდეგ, 55-ე წუთზე მასპინძლებმა მეორედ მიაღწიეს წარმატებას: ცაავამ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო (ისევ სტანდარტული სიტუაცია) - დაახლოებით 18 მეტრიდან ლამაზი, ძლიერი დარტყმით მარჯვენა „ცხრიანში გაიტანა ბურთი - 2:0 (დარტყმა იმდენად ზუსტი იყო, რომ ჟიდკოვი არც განძრეულა). ამ მომენტამდე ერთი წუთით ადრე ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენა ჩელებაძემ, რომელსაც მეკარემ დაასწრო. გავიდა კიდევ ექვსი წუთი და ახლა ჩივაძე შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე - კარგად აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს და შორეულ კუთხეში დაარტყა - ბურთი ძელს მოხვდა.

ალბათ, შეამჩნევდით, რომ დღევანდელ წერილში მხოლოდ სტუმართა კართან, შექმნილ სახიფათო მომენტებზე ვსაუბრობთ. ეს მეტად უბრალო მიზეზით აიხსნება - თვით ბაქოელებს ერთი საგოლე მომენტიც არ შეუქმნიათ, რაც დინამოელი მცველების კვალიფიკაციური, შეთანხმებული თამაშით აიხსნება. განსაკუთრებით გინდა გამოვყოთ კეტაშვილი, რომელიც თვითონაც უაღრესად სასარგებლოდ მოქმედებდა და პარტნიორებსაც დროულად ეხმარებოდა.

**დავით კაკაბაძე**

ლელო 2.09.1986